ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №1444639

ნომერი: AR1245798

თარიღი : 21.08.2014

გაცემის თარიღი : 22.08.2014

გაცნობის თარიღი : 22.08.2014

შედეგი : უარყოფა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა თარხნიშვილი , N 2-ში , N 3 სამშობიარო სახლის მიმდებარედ/ ქალაქი თბილისი , ქუჩა თარხნიშვილი , N 2 (ყოფ. კობის ქუჩა N4);

დამკვეთი-განმცხადებელი
- კობა ძლიერიშვილი პ/ნ 35001005358
- რუსთავი გ.ოდიშარიას ქ. კორ. 25 ბ. 8

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ცვლილება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

გადაწყვეტილება

ქ. თბილისისმერიისსსიპ– ქ. თბილისისარქიტექტურისსამსახურმაგანიხილათქვენი2014 წლის21 აგვისტოს #

AR1245798 განცხადება, რომლითაც ითხოვთ სამსახურის07/30/2013 წლის #819110 ბრძანებაშიცვლილებისშეტანას.

პასუხად გაცნობებთ, რომ თქვენი განაცხადი არასწორად იქნა დარეგისტრირებული ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში ცვლილების შეტანის ველში. ამავე განაცხადის საფუძველზე მოგეცემათ ნომენკლატურის შეცვლის შესაძლებლობა, რის შემდეგაც სამსახურის ვებ–გვერდზე (www.tas.ge) ელექტრონული განცხადებების ველში, „მშენებლობის ნებართვის“ არჩევის შემდეგ უნდა მონიშნოთ „საცხოვრებლი ობიექტები“, „ მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი“, შეავსოთ საპროექტო ობიექტის პარამეტრების განმსაზღვრელი გრაფები, ქმედებების ჩამონათვალში აირჩიოთ „შეთანხმებული პროექტის ცვლილება“ და მონიშნოთ თქვენთვის სასურველი სტადია, რის შედეგადაც პროგრამა ავტომატურად განგისაზღვრავთ წარმოსადგენი დოკუმენტაციის სიას.

სრულყოფილი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემთხვევაში, სამსახური იმსჯელებს თქვენს განცხადებაში მითითებულ საკითხთან დაკავშირებით და მიიღებს კანონმდებლობის შესაბამის გადაწვეტილებას. ამასთან დამატებით განგიმარტავთ, რომ #819110 ბრძანების შემდგომ, 08.08.2014 წელს სამსახურის მიერ იმავე სამშენებლო მიწის ნაკვეთზე გამოცემულია №1423883 ბრძანება კორექტირებული არქიტექტურული პროექტის შეთანხმებისა და ნებართვის გაცემის შესახებ. პროექტის კორექტირების შემთხვევაში მოთხოვნილი უნდა იქნას სწორედ აღნიშნული აქტით შეთანხმებული არქიტექტურული პროექტის კორექტირება.